

**აკაკი წერეთლის პირადი და საზოგადოებრივი
ცხოვრების ამსახველი უცნობი დოკუმენტები
(აკაკი და მავკაღიანი ქართველები)
UNKNOWN DOCUMENTS DEPICTING
AKAKI TSERETELI'S PRIVATE AND PUBLIC LIFE
(AKAKI AND GEORGIAN MUSLIMS)**

მაია არველაძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი. საქართველო

ელისაბედ ზარდიაშვილი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი. საქართველო

Maia Arveladze

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi. Georgia

Elisabed Zardiashvili

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
Tbilisi. Georgia

ABSTRACT

Current studies of Akaki Tsereteli's creative works have revealed many hitherto unknown new materials banned by the censorship. These materials present both publicist letters and business papers and documents of the poet that reflect Akaki's attitude towards Georgian Muslims living outside Georgia, particularly, in Turkey and Iran.

Adjara, having been cut off from her motherland and having become part of Turkey, joined Georgia in the 1870s. Georgians that had inhabited this area had lost their Christian belief and the native language, culture and traditions fell into oblivion. Adjara needed support in order to preserve the national identity. The Society for Spreading Literacy among Georgians undertook this mission, having opened a Georgian school in Batumi in 1881. It turned out to be a heavy burden on the budget of the Society. Among the materials of the Society for Spreading Literacy (description No. 481) preserved at the National Archives of Georgia, there is a protocol of the meeting that was supposed to resolve the issue of the existence of this school. The majority of members of the Society supported the operation of the Batumi school at any cost. Ivane Machabeli and Akaki Tsereteli were the most outspoken. They evaluated the functioning of the Batumi school

as a matter of special importance making a point that it was an institution which could not be measured in money.

In addition to his practical work, Akaki described and analyzed the life of Georgians living in Iran and Turkey in his literary works and publicist letters. In his address to Fereydan Georgians attending the poet's anniversary in 1908, the poet dealt with the historical injustice that forced thousands of Georgians to leave their homeland, and praised them for their courage in preserving their native language pristine in a foreign land. Akaki's practical and creative activities contributed to the spread and study of the national culture among the Georgians living outside Georgia.

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, აკაკი წერეთელი, მაჰმადიანი ქართველები.

Keywords: Georgian Literature, Akaki tsereteli, Muslim Georgians.

აკაკი წერეთლის შემოქმედების თანამედროვე კვლევებმა უამრავი ახალი მასალა გამოაჯლინა, რომლებმაც ბევრი საინტერესო შტრიხი შემატა პოეტის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას. გარდა მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებებისა, ახლად მიკვლეული მასალებიდან საინტერესოა პოეტის გამოუქვეყნებელი საქმიანი ქაღალდები და დოკუმენტები, მათ შორის, ანდერძის რამდენიმე უცნობი ვარიანტი, სადარბაზო, სავიზიტო, მოსაწვევი და საპატიო ბარათები, წამლის რეცეპტები, განცხადებები, ნებართვები, აკაკის თხოვნები, ქვითრები (ე.წ. „კვიტანციები“), დეპეშები, უბის წიგნაკები და ა.შ.

ამ მრავალფეროვან მასალათა შორის ყურადღებას იქცევს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ოქმები (საქართველოს ეროვნული არქივი, აღწერილობა №481), რომლებშიც აღნუსხულია იმ პერიოდის სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხზე ეროვნულ მოღვაწეთა გამოსვლები და მოსაზრებები.

ერთ-ერთი ასეთი ოქმი, რომელიც ჩვენი თემის შინაარსს ეხმიანება, არის №34. იგი შედგენილია 1887 წლის 24 მაისს და ეძღვნება წერა-კითხვის საზოგადოებისგან დაარსებული ბათუმის სკოლის დარჩენა-დახურვის საკითხს (სეა, ფ. 481).

სანამ ოქმში დაფიქსირებულ აზრთა განხილვას შევუდგებოდეთ, ამბის მცირე ისტორიისთვის აღვნიშნავთ, რომ აჭარა, ისევე როგორც საქართველოს ბევრი სხვა კუთხე, ჩვენი ქვეყნის მეტად პრობლემური ნაწილი იყო. როგორც დიმიტრი ბაქრაძე თავის წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (ბაქრაძე 1878) აღნიშნავს, ბათუმი და მისი შემოგარენი როგორც თურქეთის შემადგენლობაში ყოფნისას, ისე საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, ძალიან რთულ მდგომარეობაში იყო.

„ბათუმი ადრეული ეპოქებიდანვე ცნობილი იყო Bathu-ის სახელწოდებით, – წერს დიმიტრი ბაქრაძე, – იგი რომაელთა სამხედრო სადგური იყო და XI საუკუნეში ქრისტეს შემდგომ იმპერატორ ადრიანეს დროს, აქ რომაელთა გარნიზონი იდგა. შემდგომში იგი გურიელის სამფლობელოში შედიოდა. ქართული მათიანეები მოწმობენ, რომ თურქებმა როსტომ გურიელს, რომელიც 1564 წელს გარდაიცვალა, წაართვეს როგორც ბათომი, ანუ ბათუმი, ისე გონია, სადაც მაშინვე ააგეს სიმაგრეები. შემდეგ იგი აქციეს ბათუმის ლივანის, ანუ სანჯაყის დედაქალაქად და სხვა სანჯაყებთან – ტრაპიზონსა და გონიასთან – ერთად ტრაპიზონის გუბერნატორს დაუმორჩილეს. XVIII საუკუნეში ვახუშტი მას მოიხსენიებს მცირე ქალაქად და კარგ ციხედ, მაგრამ ადრიან დიუპრეს დროს, რომელმაც 1807 წელს მოიხილა ბათუმი, იგი უფრო „დიდ სოფელს ჰგავდა, ვიდრე ქალაქს. არავითარი სიმაგრე არ იცავდა მის რეიდს...“ (ბაქრაძე 1878: 23).

ჩვენ გავეყვანით ბათუმის ოლქის მე-19 საუკუნის დროინდელ რამდენიმე მნიშვნელოვან აღწერილობას: ადრიან დიუპრეს 1807 და დიმიტრი ბაქრაძის 1874 წლებისას, დავით კლდიაშვილისას, რომელიც აღწერს სამოსახლო მიწების თაობაზე ატეხილ საჩივრებსა და სპეკულაციას, სახლების უწესრიგო მშენებლობასა და უსუფთაობას, რაც თურქეთიდან ახლად შემოერთებულ ბათუმს ახასიათებდა. ახლახან მივაკვლიეთ აგრეთვე ალექსანდრე ყაზბეგის სტატიას „მგზავრის წერილებიდან. ბათომი“ (ხეც, თ. 168/70). ეს აღწერილობები ერთანეთისგან დიდად არ განსხვავდება. ყველა ავტორი ერთსა და იმავე დასკვნას აკეთებს, რომ ბათუმი და, ზოგადად, აჭარის ოლქი ძალიან მოუვლელი იყო. გარდა საყოფაცხოვრებო პირობებისა, ხელიდან ხელში გადასული მხარის მცხოვრებთა ეროვნული, რელიგიური და სულიერი მდგომარეობაც დაინგრა. მაგალითად, დიმიტრი ბაქრაძე ზემოთ მითითებულ წიგნაკში აღნიშნავს, რომ იქ არის მხოლოდ ორი სკოლა – თურქული და ბერძნული, სამი მეჩეთი და წმინდა ნიკოლოზის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც ახლახან აიგო რუსეთის ვიცე-კონსულის ჩარევის წყალობით. მეცნიერი იმასაც შენიშნავს, რომ ჩურუქსუელებს, ანუ ქობულეთელებს „ძალიან კარგად ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომავლობა... ისლამმა მაინც უკვე დაასვა მათ თავისი დაღი, ქალს თვალს ვერსად მოჰკრავ; ისინი ჩაკეტილი არიან და გამოჩენას ვერ ბედავენ... ისინი, შეიძლება ითქვას, უარეს უმეცრებაში არიან, ვიდრე მათი წინაპრები იყვნენ, სანამ თურქები დაიპყრობდნენ...“ (ბაქრაძე 1878: 19). თუმცა ჩვენი თემისათვის ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი იყო გურიასა და აჭარაში დ. ბაქრაძის 1874 წლის მოგზაურობის დასკვნა, რომ „როგორი ბედიც ენია ქრისტიანულ რელიგიას, ისეთივე ბედი ენია ან ახლა ენევა ქართულ ენას ოსმალთა საქართველოში... თურქულმა ენამ აჭარაში ამ ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია“ (ბაქრაძე 1878: 72-73).

ამ ძალიან მცირე შესავლის შემდეგ მკითხველისთვის უკვე ნათელია, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შემოერთებულ „ოსმალთს

საქართველოს“, როგორც მაშინ უნოდებდნენ ამ ბედკრულ მხარეს, რამხელა მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდებოდა მრავალ სფეროში.

ეროვნულ მოღვაწეთა ინიციატივით, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძის დიდი მცდელობის შედეგად, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ აჭარის შემოერთების შემდეგ, 1881 წლის 12 მარტს, გახსნა ქართული სკოლა ერთ „ჰანანინა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად მოწყობილში“ (დავით კლდიაშვილი) იმ მიზნით, რომ იქ თავი მოეყარათ და ესწავლებინათ ქართველი მუსლიმანების შვილებისთვის. ქალაქის გუბერნატორმა კამაროვმა დიდი მადლობა გადაუხადა ი.ჭავჭავაძესა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ამ კეთილი საქმისთვის. სულ მალე კი გაზ. „დროებამ“ გამოაქვეყნა ილია მჭედლიშვილის („კრამანას“ ფსევდონიმით) წერილი „ბათუმის სკოლა“, სადაც ის წერდა: „უშოვნელობის მიზეზით ჯერ-ჯერობით მოუთავსებელია სკოლისათვის შენობა; მაგრამ სამაგიეროთ თ. ჭავჭავაძე შეგვპირდა, რომ უთუოთ აქ საზოგადოება თავის ხარჯით სკოლისთვის შენობას ააშენებს, რომლისათვისაც ქალაქი მუქათათ დაჰპირებია ადგილის მიცემას“ (დროება 1881: 2).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ძალიან ბევრ კეთილ საქმეს აკეთებდა. აქ ამის აღწერას არ შევუდგებით, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის სკოლები, რომლებსაც ის აარსებდა და უვლიდა.

აღმოჩნდა, რომ ბათუმის სკოლა ყველაზე მძიმე ტვირთად დაანვა საზოგადოებას. ერთ-ერთ საბუთში ისიცაა დაფიქსირებული, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემოსავლის ნახევარზე მეტი ამ სკოლის შენახვას სჭირდებოდა. ამან ეროვნული მოღვაწეები შეაშფოთა. სწორედ მაშინ მოიწვია საზოგადოებამ წლიური კრება ამ საკითხის გადასაწყვეტად. 1887 წლის მაისის ოქმმა შემოინახა ის, თუ რა ძვირად უღირდა ჩვენს საზოგადოებას ენადაკარგულ და გამაჰმადიანებულ აჭარაში ქართული ენისა და, ზოგადად, ქართული კულტურის გავრცელება. ეს აზრი კარგად გამოხატა ივანე მაჩაბელმა კრებაზე წარმოდგენილ სიტყვაში: „ბათუმის სკოლა, მართალია, ძვირად უჯდება საზოგადოებას, მაგრამ მაინც უნდა დარჩეს, რადგან ეს სკოლა ისეთი დანესებულებაა, რომლის სარგებლობა ფულით არ აინონება“ (სეა, ფ. 481: 9).

ამ სიტყვის შემდეგ განხილვა და კამათი გაგრძელდა. ზოგიერთი მოღვაწე, ძალიან დიდი ხარჯის გამო, სკოლის დახურვას მოითხოვდა, ზოგი – სკოლის შემცირებას, ან სადმე სხვა სოფელში გადატანას, სადაც უფრო იაფი დაუჯდებოდა საზოგადოებას სკოლის შენახვა.

შემფოთებული იყო იაკობ გოგებაშვილიც, რომელმაც აღნიშნა: „ბათუმის სკოლას შეუძლია იქამდის მიიყვანოს საზოგადოება, რომ მისი არსებობა მოისპოს. უმჯობესი იქნება, ბათუმიდან გადავიტანოთ სკოლა რომელიმე სოფელში ახლად შემოერთებულ ოსმალთა საქართველოში“ (სეა, ფ. 481: 10). ხოლო აკაკი წერეთელი სასტიკი წინააღმდეგი გამოვიდა

ბათუმის სკოლის დახურვის და ივანე მაჩაბელივით სხვა ღირებულებებით განსაზღვრა სკოლის არსებობა. პოეტმა თქვა: „ერთხელ რომ დაგვეტოთ, შემდეგ აღარ გავგახსენებინებენ, ამისათვის საჭიროა, დარჩეს ბათუმის სკოლა, რომ უფლება მაინც არ დაგვარგოთ საბოლოოდ“ (სეა, ფ. 481: 10).

კრების თავმჯდომარის კითხვაზე, დაიკეტოს ბათუმის სკოლა თუ დარჩეს, „მთელმა კრებამ, ოთხი წევრის გარდა, გამოაცხადა სურვილი, რომ ბათუმის სკოლა ისევ დარჩეს და ხოჯაც მონვეულ იქნეს მაჰმადის აღსარების სასწავლებლად“ (სეა, ფ. 481: 11).

კრების დადგენილება ნათლად მიუთითებს XIX საუკუნის II ნახევრის ეროვნულმოღვაწეთა იმწახილზე, რომელსაც ინვევდასაქართველოსთან ახლად შემოერთებულ თუ დედამამშობლოსთან დაბრუნებული კუთხის მდგომარეობა: დაკარგული ქრისტიანობა, დაფიცებული ენა, კულტურა და ტრადიციები. ეს ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ პერიოდის ქართული საზოგადოება ყველაფერს აკეთებდა აჭარის ხელახლა „გასაქართველებლად“. ეს იდეა ზოგიერთ მოღვაწეში კერძო ინიციატივასაც კი აჩენდა. ამ მხრივ გვერდს ვერ ავუვლით ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობას.

ბათუმის სკოლის გარშემო არსებული პრობლემების გაცნობის შემდეგ მწერალი გაემგზავრა ბათუმში. ცნობილია, რომ ის იქ დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამის დასტურია მწერლის ერთი პირადი წერილი, რომელიც მან ილიას გაუგზავნა ბათუმიდან: „რამდენმამე პირმა ზედვე, ადგილზე ვნახეთ ბათუმის სკოლა. გამოვიკითხეთ, გავიცანით და შევიგნეთ მისი საჭიროება. ფაქტებმა დაგვიმტკიცა, რომ სმეტში მოყვანილი ფული არა ჰყოფნის ამ სკოლას... სკოლის მოსწავლენი შეუძლებელნი არიან...“ (ყაზბეგი 1950: 222). სწორედ ამან გადაწყვეტინა მწერალს, შეძლებისდაგვარად დახმარებოდა ბათუმის სკოლას. ალ. ყაზბეგის ბათუმში მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის კლიმენტი გოგიავა ნაშრომში „ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში“ (გოგიავა 1948).

მწერალი იქ უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, მაგრამ იგი ავტორი იყო ბათუმის სკოლის სასარგებლოდ გამართული მრავალი ღონისძიებისა, რომლიდან შემოსულ თანხასაც კაპიკ-კაპიკ აბარებდა ან სკოლის გამგეობას, ან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. და ეს მაშინ, როცა თვითონ ქალაქის საყიდელი ფულიც კი არ ჰქონდა. ალ. ყაზბეგი ხელმძღვანელობდა ბათუმის სკოლასთან დაარსებულ ქართული წიგნების გამავრცელებელ ბაზარს, სკოლის სასარგებლოდ დგამდა სპექტაკლებს (მაგალითად, გაბრიელ სუნდუკიანის „პეპოში“ მას პეპოს როლი უთამაშია). სპექტაკლების ბოლოს ის ცეკვავდა თავის განუმეორებელ „ლეკურს“, რომლის სანახავადაც უამრავი ხალხი დადიოდა; ასევე აწყობდა ჭიდაობას ბათუმის სკოლის მოსწავლეთა სასარგებლოდ. ამ ყველაფერს ადასტურებს წერილობითი წყაროები.

მაგალითად, 1886 წლის „ივერიაში“ (№218, გვ. 3) დაიბეჭდა ბათუმის სკოლის მასწავლებლის მოსე ნათაძის „წერილი რედაქციის მიმართ“. მასში ავტორი მადლობას უცხადებს ალ. ყაზბეგს, რომლის თაოსნობითაც ბათუმში 5 ოქტომბერს სკოლის სასარგებლოდ გამართულა ჭიდაობა. გაზეთის იმავე ნომრის „ქრონიკაში“ (გვ. 2) შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „ამ დღეებში ბათუმში გაუმართავთ ჭიდაობა ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. ჭიდაობიდან შემოსულა სულ 63 მან., რომელიც გაეგზავნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, რომელიც განაგებს ბათუმის სკოლას“ (ყაზბეგი 1950: 549). და ეს არ იყო გამონაკლისი. უამრავ ასეთ ცნობას ვხვდებით მაშინდელ პრესაში.

ბათუმის სკოლის ერთსართულიანი შენობის აგება 1893 წლის ივნისში დაიწყო. მშენებლობისთვის 6000 მანეთი მონიანვე ქართულმა საზოგადოებამ შეაგროვა. თანხის ნაწილი წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც გაიღო (<http://pirveliskolisistoria.blogspot.com>).

მაჰმადიანი ქართველების საკითხის ირგვლივ დიდ ინტერესს იჩენდა აკაკი წერეთელი. პრაქტიკული საქმიანობის გარდა, პოეტი როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პუბლიცისტიკაში, აღწერდა და აანალიზებდა საქართველოს გარეთ, განსაკუთრებით ირანსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფას. „ბაში-აჩუკში“ მან მძაფრი ფერებით დახატა სამშობლოდან ძალით წაყვანილი და შემდეგ მუსულმანების სამსახურში ჩამდგარი აბდუმაჰმადის ფსიქოლოგიური პორტრეტი.

1870-იან წლებში, როდესაც ბათუმი და მისი ოლქი შეუერთდა საქართველოს, აკაკიმ დაწერა წერილი, რომლითაც მიმართა ოსმალეთის ქართველებს. პოეტმა სტატიაში გააანალიზა ის ისტორიული უკუღმართობა, რომლის გამოისობით აჭარა მოსწყდა საქართველოს და ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მიმართვაში მან აუხსნა გამაჰმადიანებულ ქართველებს, რა გვექონდა საერთო და რატომ უნდა ყოფილიყვნენ ისინი ჭირშიც და ლხინშიც საქართველოსთან ერთად: „ჩვენო ერთტომო და ერთმოგვარე ძმებო! დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც უკუღმართმა ბედმა დაგვიკარგა ჩვენი მრავალსაუკუნეობითი ერთობა, გაგვაპო შუა, გაგვყო ორად, გაგვასხვავა სარწმუნოებით და დაგვაშორა ერთმანეთს ქვეშევრდომობით. მაგრამ ჩვენ კი მაინც იმავე ერთი ტომის ხალხი ვართ, რაც ადრე ვიყავით, იმგვარივე სისხლი სდუღს ჩვენში დღესაც, რომელსაც ადრე ჩვენ და თქვენ ჩვენის ერთობისათვის თავგანწირულად შეერთებულად ვანთხევდით... კიდევ მეტი ვსთქვათ: დღესაც ჩვენ მივინდობით იმავე ერთს ღმერთს, რომელიც ადრე გვფარავდა. ჩვენ გვაქვს ერთი ისტორია, რომელიც საქართველოსადმი თქვენ უფრო დიდ წილს გიძებს, როგორც შემხებს, მოსაზღვრებს, – ის არ დაივიწყება უკუნისამდე, სანამ კი საქართველო არსებობს და სანამ ჩვენი დედა-ენა არ გამქრალა, ის ტკბილი ენა, რომელიც თქვენ აგრე

მამაცურად და პატიოსნად უცხოობაშიც კი შევინახავთ... ღმერთმა ნუ ქნას უთქვენობა ჩვენთვის და უჩვენობა თქვენთვის. ორივე ნახევარი ცალ-ცალკე ყოველთვის უსრულო ნაწილებად დარჩებიან, მაგრამ ერთად შეერთებით კი ერთს სრულს შეადგენენ. ღიახ, სულითა და გულით ჩვენ ერთი ვართ, ერთს ბედს ქვეშ უნდა ვიყოთ ყოველთვის“ (კომუნისტი 1940: 3).

ამ მგრძობიარე სიტყვებით პოეტმა დაგვანახა, თუ როგორ უყურებდა ის მუსულმანურ სამყაროში ძალდატანებით მოხვედრილი ქართველების ენას, კულტურასა და ტრადიციებს, აგრეთვე მათ მომავალს.

აკაკი წერეთლის ამ ინტერესებზე მეტყველებს 1910 წელს დაწერილი სტატია „ტრაპიზონიც“. პოეტი ნავით გამგზავრებულა ტრაპიზონის დასათვალიერებლად და, რაც მთავარია, სოლომონ მეფის საფლავის მოსანახულებლად: „ნავიდან რომ გადავხტი, იქ, ზღვის პირად, სხვათა შორის, ერთი ვილაყ დარბაისელი თათარი დამხვდა და, ყური რომ მოჰკრა ჩემ ჩიქორთულ თათრულს, ღიმილით მითხრა: „დათვალიერება გინდათ ქალაქის?“ (წერეთელი 1961: 363).

აკაკი უამრავ კეთილ სიტყვას იმეტებს შემხვედრი თათრის ხასიათის აღსაწერად. პოეტი ხაზს უსვამს მის ყურადღებიანობას, დახმარებას, ფეხის ქირად მცირედი ფულის აღებას და, რაც მთავარია, ინფორმაციის მიწოდებას სოლომონ მეფის საფლავის შესახებ. ეს წერილი დასტურია იმისა, რომ აკაკი მხოლოდ ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებს კი არ აქცევდა ყურადღებას, არამედ იქ დაკრძალული ქართველების საფლავების მდგომარეობითაც ინტერესდებოდა.

ირანში მცხოვრები ქართველები რომ დიდ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდნენ ქართული კულტურისადმი და კარგად იყვნენ ინფორმირებულები საკუთარი სამშობლოს საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებით, გამოჩნდა 1908 წელს აკაკის იუბილეზე.

მგოსნისთვის იუბილეს მისალოცად ირანიდან ჩამოსული დეპუტაცია შედგებოდა როგორც საკუთრივ ირანელებისაგან, ისე იქაური ქართველებისაგან. თუმცა ფერეიდნელმა ქართველებმა მეტისმეტი პატივი მიაგეს პოეტს. მათ ნებით გამოიარეს ფეხით ის გზა ირანიდან საქართველომდე, რომელიც მათმა თვალცრემლიანმა წინაპრებმა მე-17 საუკუნეში ძალდატანებით გაიარეს საქართველოდან სპარსეთამდე.

ფერეიდნელი ქართველების სახელით აკაკის იუბილე მიულოცა სპარსელმა ქართველმა ნასროლ ხატიამვილმა: „ნება მიბოძეთ, დიდებულო მგოსანო, მოგილოცოთ ფერეიდანელ ქართველების სახელით. სამშობლო დედის ძუძუს მონყვეტილ ფერეიდანელ ქართველებსაც მისწვდა შენი სახელი და ისინიც, აქაურთა დახმარებით, შეუდგნენ ქართულ წერა-კითხვის შესწავლას. იცოცხლეთ ქართველთა სანუგეშოთ“ (შარაძე 2006: 96).

ბედკრული საქართველოს მეტ-ნაკლებად ყველა კუთხე ხომ აკაკის დროს უბედურებაში იმყოფებოდა. პოეტის იუბილე არც ახალციხის

მაჰმადიანმა ქართველებმა დაივიწყეს. მათი სახელით იუბილარს ადრესი მიართვა მოლამ – ჭომახიძემ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა: „ნება მიბოძეთ, დიდებულო მგოსანო, აკაკი, მოგილოცოთ დღესასწაული მაჰმადიან-ქართველების სახელით. მართალია, დროთა უკუღმართ ბრუნვის გამო ჩვენ დაუმორდით ჩვენს ძმებს – ქართველებს, მაგრამ დღემდე არ გამქრალა ჩვენს გულში მათდამი სიყვარული. ვისურვებთ, რომ დღევანდელი დღე უფრო მტკიცე საფუძვლად დასდებოდეს ჩვენ შორის ერთობისა, ძმობისა და სიყვარულის განტკიცებას“ (შარაძე 2006: 97).

აკაკის იუბილე ქართველთა და მაჰმადიანთა მეგობრობის ზეიმადაც რომ იქცა, დაადასტურა კავკასიის სპარსელთა საქველმოქმედო საზოგადოებისა და მაჰმადიანთა სხვა კულტურულ დანესებულებათა წარმომადგენლების გამოჩენამ. მათ ხალხი ტაშისცემით მიეგება. აკაკიმ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ყველა მაჰმადიანს: „თქვენი აქ მობრძანება, საზოგადოთაც გვახარებს. ძველად ჩვენ და თქვენ შუა გალესილი მახვილი იდვა. დღეს განათლებამ და განვითარებამ წინ ისეთი ბიჭი წაგვადგმევინა, რომ ის მახვილი კავშირად არის გადაქცეული. სარჩულად უდევს ერთობა და სიყვარული. ნათელს აღმოსავლეთით მოველით დღეს, მაჰმადიანების წინა მძლოლობით და ჩვენც მათთან ერთად, მიუხედავად სარწმუნოებისა, მზათა ვართ თავდადებით მივევებით. კურთხეულ იყოს ამიერიდან ჩვენ შორის ერთობა და სიყვარული“ (შარაძე 2006: 110).

სხვადასხვა არქივსა თუ პერიოდულ პრესაში გამოვლენილი ასეთი მასალები ხელს უწყობს პოეტის შემოქმედებისა და პირადი ცხოვრების ბევრი დეტალის ახლებურად გაშუქებასა და აღქმას. საინტერესოა, აგრეთვე, აკაკის ფსიქოტიპის შესასწავლად. თანამედროვე კვლევებით მოპოვებული უცნობი მასალები ბევრ ახალ და საინტერესო შტრიხს მატებს პოეტის ისედაც საინტერესო პორტრეტს.

დასკვნა: აკაკის შემოქმედების თანამედროვე კვლევისას გამოვლენილი მასალები კარგად ასახავს პოეტის დამოკიდებულებას როგორც საქართველოში, ისე მის გარეთ მცხოვრები მაჰმადიანი ქართველებისადმი. ეს დამოკიდებულება კი იხატება სამშობლოსგან მონყვეტილი თანა-მემამულეებისადმი დახმარების სურვილში, რომ მათ ქრისტიანული რელიგიის დაკარგვის შემდეგ მშობლიური ენა და ქართული ტრადიციები მაინც შეინარჩუნონ. ამ მიზანს ემსახურებოდა პოეტის გამოსვლა წკვ საზოგადოების კრებაზე ბათუმის სკოლის დახურვის წინააღმდეგ, ასევე ის მხატვრული თხზულებები და პუბლიცისტური წერილები, რომლებითაც პოეტი მაჰმადიანი ქართველების ეროვნული გრძნობების გაღვივებას ცდილობდა. აკაკიმ თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს გარეთ მცხოვრები ქართველების ეროვნული მეობის შენარჩუნებაში.

დამონმებული ლიტერატურა და წყაროები

ბაქრაძე 1878: ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, სანკტ-პეტერბურგი, 1878.

გოგიავა 1948: გოგიავა ვ., ალექსანდრე ყაზბეგი ბათუმში. ბათუმი, 1948.

დროება 1881: გაზეთი „დროება“, 1881, №60, 20 მარტი.

კომუნისტი 1940: გაზეთი „კომუნისტი“, 1940, №174, 22 ივნისი.

სეა: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 481, აღწერილობა 1, საქმე 139, ოქმი №34.

ყაზბეგი 1950: ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. V. თბილისი, 1950.

შარაძე 2006: შარაძე გ., აკაკის იუბილე. თბილისი, 2006.

წერეთელი 1961: წერეთელი ა., თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIV. თბილისი, 1961.

ხეც: ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ყაზბეგის ფონდი 168/70 (ძველი № S-3993).

<http://pirveliskolisistoria.blogspot.com> – online. დამონმება: 02.08.2019.